პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, არანაკლებ B2 დონისა ან B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დოკუმენტი. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის ტესტირების ცენტრში.

აპლიკანტს, რომელსაც დამთავრებული აქვს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უცხოურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდაზე გასვლა არ მოეთხოვება.

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილიწესით.

გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე, საგამოცდო საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს ვებგვერდზე: https://gtu.ge/apply/tests.php

პროგრამის მიზანია:

პროგრამის მიზანია ინოვაციებზე დამყარებული, კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი, კვლევითი და პრაქტიკული უნარების მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ევროპისმცოდნეობის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ რეგიონალიზმის თეორიისა და მეთოდოლოგიის, ევროპული ინტეგრაციის თეორიისა და პრაქტიკის, ევროპული კულტურის, ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1.განიხილავს რეგიონალიზმის თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარების ძირითად კანონზომიერებებს, ევროპული ინტეგრაციის თეორიის პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობებს, ევროკავშირის განვითარების ტენდენციებს;

2.ევროპული ინტეგრაციის, კულტურის, ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების კრიტიკული გააზრების საფუძველზე **განსაზღვრავს** გზებს ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის;

3.განმარტავს ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდების როლს ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების გააზრებაში;

4.ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე **კრიტიკულად აანალიზებს** მულტიდისციპლინურ გარემოში წამოჭრილ პრობლემებს, აკეთებს შესაბამის შეფასებასა და დასკვნას აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

5.კვლევის მეთოდების უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით **აყალიბებს** დასაბუთებულ დასკვნებს და შეიმუშავებს პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს;

6.იზიარებს აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპებს, საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს;

7.საკუთარ კვლევებს **წარმართავს** პროფესიულ დონეზე და ახდენს მის პრეზენტაციას აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, როგორც აკადემიური ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის;

8.იზიარებს ევროპული ფასეულობების მნიშვნელობას და მხარს უჭერს მულტიდისციპლინურ გარემოში ამ ღირებულებების ადაპტირებას ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებასთან, საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენასთან და ასევე სტუდენტის ცოდნის შეფასებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოცემულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში https://gtu.ge/students/edu/forms.php

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე https://gtu.ge/pdf/forms-instructions/conducting-evaluating.pdf

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	აკადემიური წერა	5
2	ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები	5
3	რეგიონალიზმის თეორია და მეთოდოლოგია	5
4	ევროპული კულტურის გავლენა მსოფლიო ცივილიზაციურ პროცესებზე	5
5	ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების მექანიზმები	5
6	ევროკავშირის სამართალი და მისი გავლენა ქართულ	5

	სამართალზე	
7	ევროკავშირი გლობალურ ეკონომიკაში	5
8	ევროკავშირის ეთნოპოლიტიკის დინამიკა	5
9	ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტები და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები	5
10	ევროპული ინტეგრაცია: თეორია და პრაქტიკა	5
11	ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები	5
12	თანამედროვე ევროპული კულტურა და ცივილიზაციათა დიალოგი	5
13	საქართველო ევროპული ინტეგრაციის პროცესში	5
14	სამაგისტრო პრაქტიკა	5
	არჩევით სასწავლო კურსები	20
15	**საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ერთ-ერთი უცხო ენა არჩევით)**	5
15.1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური ენა)	
15.2	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული ენა)	
15.3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული ენა)	
15.4	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული ენა)	
15.5	პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში	
15.6	**Genesis of Europen Orientation of Georgia** (საქართველოს ევროპული ორიენტაციის გენეზისი)	
15.7	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;	
15.8	ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა	
15.9	ვროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები	
15.10	ევროპული კონფლიქტები და მათი გადაჭრის გზები	
15.11	ევროკავშირის გენდერული მიდგომები	
15.12	ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში	
16	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	30